„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...“ ლადო ასათიანი



# ასპინძის საკრებულო

ასპინძის მუნიციპალიტეტი * მარტი. 2020 * (1)58

## მუნიციპალიტეტის საკრებულოში

მიმდინარე წლის 11 თებერვალს გაიმართა ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე **მამუკა მელიქიძე.**

საკრებულოს სხდომის ფარგლებში დეპუტატებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. 2020 წელს ასპინძის მუნიციპალიტეტში, მთის ფონდიდან განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში, დასაფინანსებელი პროექტების მოწონების თაობაზე;



2. ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების თაობაზე;

3. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №6 12 განკარგულებაში „2019-2021 წლებში სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების თაობაზე,“ – ცვლილების შეტანის შესახებ.

დეპუტატებმა წარმოდგენილი საკითხები ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს,

მაკა ბერიძე

## ერთობლივი პროექტის ფარგლებში

ამა წლის 24 თებერვალს, ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში, ჟვანიას სკოლისა და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, სამდღიანი ტრენინგის – „ადრეული და სკოლამდელი განათლების რეფორმა – რეალობა და გამოწვევები“ – განხორციელება დაიწყო.

ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ ქ.ქუთაისის, ახალქალაქის, ახალციხისა და ასპინძის მუნიციპალიტეტების მერიის წარმომადგენლები, შესაბამისი სამსახურის უფროსები, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები, ბაგა-ბაღების გაერთიანებების ხელმძღვანელები, ისინი, რომლებიც მუშაობენ სკოლამდელი განათლების რეფორმაზე.

„დღეს, ჟვანიას სკოლამ გაეროს ბავშვთა ფონდისა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, ადრეული და სკოლამდელი განათლების რეფორმის ფარგლებში, პროექტის განხორციელება დაიწყო. ამ ეტაპზე პროექტში, საპილოტე რეჟიმში ჩართულია საქართველოს 12 მუნიციპალიტეტი. დღეს, ჩვენ ვიწყებთ სამდღიან ტრენინგს. გარდა ტრენინგებისა, საპილოტე მუნიციპალიტეტებისთვის დაგეგმილია ექსპერტების გამოყოფა და მათთვის სამუშაო ადგილზე კონსულტაციების გაწევა. ეს მნიშვნელოვანი შედეგი იქნება გადაწყვეტილების მიმღებ პირთათვის, რადგან მათ ექნებათ საშუალება უფრო თანამედროვე, უფრო ეფექტიანი მეთოდები გამოიყენონ სკოლამდელი განათლების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღების დროს“. – განაცხადა ჟვანიას სკოლის დირექტორის მოადგილემ პაატა კლდიაშვილმა.



პროექტის მონაწილეებს შეხვდნენ და წარმატებები უსურვეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სკოლამდელი განათლების სამმართველოს უფროსმა თამარ თოლორაიამ და გაეროს ბავშვთა ფონდის ადრეული განათლების სპეციალისტმა ანა ჯანელიძემ.

პროექტის მიზანია ადრეული და სკოლამდელი განათლების რეფორმის წარმატებით განხორციელების ხელშეწყობა. საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს ადრეული და სკოლამდელი განათლების რეფორმა, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა და დამტკიცდა კანონი, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ, ასევე სახელმწიფო სტანდარტები. როგორც კანონის აღსასრულებლად, ასევე სტანდარტების დასანერგად ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე საჭიროა რიგი საქმიანობის თანმიმდევრული განხორციელება, მათ შორის, უმნიშვნელოვანესი მიმართულება სფეროში დასაქმებული კადრების უწყვეტი პროფესიული განვითარებაა, რაც არა ერთჯერადი, არამედ ციკლური პროცესია.

## საზოგადოებრივი ცენტრი ასპინძასაც ექნება



დღეს საქართველოში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა მოსახლეობის მომსახურების კულტურის დონის ამაღლების საქმეს. თითქმის ყველგან მიმდინარეობს სახელმწიფო დაწესებულებათა ძველი, ამორტიზირებული შენობა-ნაგებობების ნაცვლად ახალი, თანამედროვე ევროპული სტანდარტებით ახალი შენობების აგება და მათი შიდა ინტერიერების განახლება, რაც მოსახლეობას კომფორტულ გარემოს უქმნის.

ახლახან დაბა ასპინძაში, ადმინისტრაციული შენობის გვერდით, დაიწყო საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა, რომლის, სამშენებლო სამუშაოებს ასრულებს ელექტრონულ ტენდერში SPA 190005840 გამარჯვებული კომპანია შპს ,,მშენ-სერვისი’’.

სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 698 000 ლარს.

## მეტი მხარდაჭერა სოფლის მოსახლეობას!

ასპინძის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, სოფლების ერთ ნაწილში აქტიურად გრძელდება შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან.

აღნიშნულ შეხვედრებში მონაწილეობას იღებენ მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე, საკრებულოს თავმჯდომრის მოადგილე ბესიკ ბერიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები.

შეხვედრაზე მოსახლეობის მიერ შეირჩა სოფლის მოსახლეობის საჭიროებიდან გამომდინარე პრიორიტეტული პროექტები.

მათ შორის განისაზღვრა სოფლებში – მირაშხანში – სპორტული მოედნის;

თმოგვში – სარწყავი არხების;

სოფელ ნაქალაქევში – სპორტული მოედნის;

სოფელი ფიაში – გარე განათების მოწყობა (II ეტაპი) - დასრულება.



ასევე სოფელ ოშორაში განისაზღვრა სასმელი წყლის შიდა ქსელის, იდუმალაში – სასმელი და სარწყავი წყლის, ჭობარეთში – სანიაღვრე და სარწყავი არხების, ამორტიზებული სკვერისა და სველი წერტილის მოწყობა, სოფელ ორგორაში – სასმელი წყლის სათავე ნაგებობისა და სარწყავი არხების რეაბილიტაცია.

შესაბამისად გათვალისწინებულია სოფელ დამალაში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობა და სარწყავი წყლის სათავე ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოები და გარე განათების მოწყობა. ანალოგიურად გადაწყდება საროს, ვარგავისა და თოკის სასმელი და სარწყავი წყლის სისტემებისა და სათავე ნაგებობის, ოთის წყაროების სარეაბილიტაციო სამუშაოები;

სოფელ ივერიაში მოეწყობა გარე გამოყენების სპორტული ტრენაჟორები. სოფელ ხიზაბავრაში დასრულდება გარე განათების II-ეტაპი და სასაფლაომდე მისასვლელი გზა, ხოლო ნიჯგორში – საზაფხულო საძოვრებზე, ე.წ. თოლერთაში – სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია.

# წიგნის საჯარო კითხვას მიეძღვნა

მიმდინარე წლის 5 თებერვალს, წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით. ასპინძის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ფოიეში გაიმართა შემეცნებითი ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობდნენ ა(ა)იპ ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება – კულტურის ცენტრის, ა(ა)იპ ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის თანამშრომლები, ბიბლიოთეკის მკითხველები, ასპინძის საჯარო სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები, მუნიციპალიტეტის მერიის პასუხიმგებელი მუშაკები.

ღონისძიების დასაწყისშივე დამსწრე საზოგადოების ყურადღება მიიქცია დეკორაციამ, – წიგნების პირამიდაზე მცოცავი ბავშვი, რომელიც მაღლა და მაღლა, ცოდნის მწვერვალისაკენ, მიზნის მისაღწევად, მიიწევს, რათა მიწვდეს „ოქროს გასაღებს“ – ცოდნის წყაროს (დეკორაცია ნელი ბერიძისა).



როგორც ცნობილია, ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ასპინძაში „წიგნის საერთაშორისო დღე“ აღინიშნება, რომლის მიზანია, რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩაერთოს საბიბლიოთეკო მუშაობაში, ახალგაზრდები შემოვაბრუნოთ წიგნისკენ, – ადამიანში კულტურის ამაღლება ხომ, უპირველესად, მის წიგნიერებაშია.

– წიგნი ურთიერთობის მძლავრი იარაღია, რომელიც ყველას ჭირდება – დიდსაც და პატარასაც, მოხუცსაც და ახალგაზრდასაც, – განაცხადა წიგნის ერთმანეთთან დამოკიდებულებაზე, რომ წიგნიერ საზოგადოებაშია ქვეყნის მომავალი წინსვლა. მათვე დასძინეს, რომ დღეს დიდი გამოწვევების წინაშე დადგა საბიბლიოთეკო სისტემა, რადგან კომპიუტერმა კონკურენცია გაუწია ამ სისტემას, თუმცა, უკანასკნელ ხანს ცხოვრებამ დაგვანახა, რომ წიგნი შეუცვლელი ფენომენია და მასზე მოთხოვნილებები დღითიდღე მატულობს. როგორც დიდი ქართველი პოეტი იოსებ გრიშაშვილი იტყოდა:

„მიყვარდა კითხვა, წიგნს
ვსახავდი მე თვალის ჩინად,
მიყვარდა კითხვა და
ამ კითხვამ გადამარჩინა“.

წიგნებიც ხომ ისე „ცხოვრობენ“ და „მოღვაწეობენ“, როგორც ადამიანები. წიგნის გარეშე არ არსებობს არც ენა, არც კულტურა და, რასაკვირველია, ღონისძიების წამყვანმა მარეხი დათაშვილმა.

ღონისძიების მონაწილეებს მიესალმა და წიგნის დანიშნულებაზე საინტერესოდ ისაუბრეს მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ და რესურსცენტრის უფროსმა ტრისტან მურადაშვილმა. შემდეგ ერთმანეთს ცვლიან გამომსვლელები – ასპინძის საჯარო სკოლის მოსწავლეები, ბიბლიოთეკის თანამშრომლები და აქტიური მკითხველები.

ასპინძის საჯარო სკოლის პედაგოგმა თინათინ წითლანაძემ და მაია სუარიძემ დამსწრე საზოგადოებას მიულოცეს „წიგნის საჯარო კითხვის მსოფლიო დღე“, ვრცლად ილაპარაკეს ზოგადი განათლებისა და



არც განათლება. ადამიანის კულტურის დონის ამაღლება კი, პირველ რიგში, მის წიგნიერებაშია. ამიტომაცაა, რომ საბიბლიოთეკო სისტემაში დასაქმებული სპეციალისტები განსაკუთრებულ ყურადღებას არა მარტო მკითხველების მოზიდვას აქცევენ, არამედ მკითხველებისთვის შესაფერისი ლიტერატურის მოძიება-შეთავაზებას.

აქვე ხაზი გაესვა საბავშვო ბიბლიოთეკების როლს მოზარდი თაობის აღზრდა-განვითარების საქმეში. საბავშვო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარებმა ნელი გოგოლაძემ და ცირა საქიძემ მოწვეულ სტუმრებს გააცნო ეს სტატისტიკური მონაცემები და დინამიკა, თუ როგორ იზრდება მოსწავლე-მკითხველთა რაოდენობა და, ამ მხრივ, კეთილსაიმედო მდგომარეობა შეიმჩნევა. აღინიშნა ისიც, რომ რაიონული საბავშვო ბიბლიოთეკა მომსახურებას უწევს როგორც ასპინძის საჯარო, ასევე სოფლების – იდუმალის, ივერიის, ოშორის, ოთის, ნიჯგორის, ხერთვისის საჯარო სკოლების მოსწავლეებს და პედაგოგებს. ისინი მაქსიმალურად იყენებენ ბიბლიოთეკათშორისო შესაძლებლობებს და მკითხველებს უქმნიან იმის პირობას, რომ ყოველნაირი დასახელების ლიტერატურით ისარგებლონ. მანვე მკითხველებს, სხვა ახალ გამოცემებთან ერთად, წარუდგინა ავთანდილ ბერიძის ახლახან გამოცემული ლექსების კრებული „მარადიული ვალი“ და რამდენიმე ლექსიც წაიკითხა ამ წიგნიდან.

სიტყვაში გამოსულმა მოსწავლეებმა, ბიბლიოთეკის აქტიურმა მკითხველებმა – დავით მურადაშვილმა, ამირან კალანდაძემ, მარი დევნოსაძემ, თამთა გიორგაძემ, ნიკა ბერიძემ, მათე თურქაძემ, სოფო აბესალომის და სოფო იოსების ასულ ნათენაძეებმა, გიორგი შეშაბერიძემ, მარი ზაზაძემ, ბარბარე მაისურაძემ, მარი კარაკაშიანმა, თამთა კირკიტაძემ, ტასო ღორჯომელაძემ სიამოვნებით აღნიშნეს, რომ მათ ყოველთვის უყვართ ბიბლიოთეკაში მისვლა და ახალი წიგნებით ცოდნის დონის გამდიდრება, ხოლო აქტიურმა მკითხველმა მარინა კუბლაშვილმა თქვა, რომ წიგნში ხედავს თავის სულიერ საზრდოს და ამაში ბიბლიოთეკა ყოველთვის ეხმარება.



ღონისძიებაზე მთავარი ბიბლიოთეკის ყველაზე აქტიური მკითხველები მარი დევნოსაძე, ტასო ღორჯომელაძე და თამთა კირკიტაძე მუნიციპალიტეტის მერიამ დააჯილდოვა დიპლომებით – „აქტიური მკითხველი – 2019''.

აღნიშნულ ღონისძიებას ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის როსტომ მაგრაქველიძის გარდა, ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა მელიქიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

იმავე დღეს, წიგნის საჯარო კითხვის დღესთან დაკავშირებით, ხერთვისის ციხის ვიზიტორთა ცენტრის დარბაზში გაიმართა საინტერესო ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდნენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებული ბესიკ ამირანაშვილი, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე, საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა მელიქიძე, მერის მოადგილე ლევან ბერიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ბერიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ასევე ანსამბლმა „წუნდამ“, წიგნის კითხვის კლუბის წევრებმა: ფიქრია ბლიაძემ, ნანკა და მაია ბერიძეებმა, მარი ბადიშიანმა, ოთო ხიზაძემ და ხატია ლეკიშვილმა. ა(ა)იპ ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება-კულტურის ცენტრის წარმომადგენლებმა.

**ნინო ბერიძე**

# ნიადაგის ეროზია და მასთან ბრძოლა

***ნიადაგიდან მისი შემადგენელი ნაწილაკების დაშლას, გადარეცხვა-გამორეცხვა და გადაადგილებას წყლის, ქარის ან სხვა მექანიკური ენერგიის, მოქმედების შედეგად ეროზია ეწოდება.***

***ნიადაგის ეროზიის შედეგად ირღვევა მისი ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური თვისებები, მცირდება მისი ნაყოფიერება და სასოფლო სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. ნიადაგის ძლიერი ეროზიის შედეგად, ზოგჯერ სრულიად ნადგურდება ნიადაგი. ნიადაგის ეროზია შეიძლება იყოს ქარისმიერი, წყლისმიერი, ადამიანის ჩარევით გამოწვეული.***

### ნიადაგის ქარისმიერი ეროზია და მასთან ბრძოლა:

ქარი ნიადაგის ზედაპირიდან იტაცებს მიწის წვრილ ნაწილაკებს, აშიშვლებს, დაუცველს ხდის მცენარეთა ფესვთა სისტემას, ანადგურებს ნიადაგის ზედა, ყველაზე მეტად ნაყოფიერ ფენას.

ქარის მიერ ნიადაგიდან ატაცებული მიწის ნაწილაკები, რომელიც მეტ-ნაკლებად გაჯერებულია პესტიციდებით, აბინძურებს ჰაერს, წყალსატევებს, მდინარეებს, სასმელი წყლის წყაროებს.

ქარისმიერი ეროზია განსაკუთრებით ძლიერდება ქარსაფარი ზოლების გაჩეხვა-განადგურების შედეგად. ქარსაფარი ზოლები ამცირებენ ქარის სიჩქარეს, სიძლიერეს და ნიადაგის ნაწილაკების ატაცების ინტენსიობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაზიანებული და განადგურებული ქარსაფარი ზოლების აღდგენა და გაშენება, ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ და ეფექტურ ღონისძიებას წარმოადგენს.

ქარისმიერ ეროზიას ასევე განაპირობებს ნიადაგის დამუშავების და აგროტექნოლოგიების არასწორი მიდგომა. მცენარეებით მჭიდროდ დაფარული ნიადაგი თითქმის არ განიცდის ქარისმიერი ეროზიის გავლენას.

განსაკუთრებით საყურადღებოა საშემოდგომო კულტურების თესვის აგროვადებში ჩატარება. ამ შემთხვევაში ფესვები უფრო ვითარდება და ასწრებს 2-3 ძლიერი ნაბარტყის წარმოქმნას. შედეგად, მცენარე წინააღმდეგობას უწევს ქარს და თავისი მასით ფარავს ნიადაგს.

ქარისმიერი ეროზიის ზონებში კარგ შედეგს გვაძლევს ჯვარედინი თესვა. ეფექტურია თესვის ნორმის გადიდება 10-15%-ით, თესლის მსხვილი ფრაქციის შერჩევა და თესვის სიღრმის გადიდება 3-5 სმ-ით.

### ნიადაგის წყლისმიერი ეროზია და მასთან ბრძოლა:

ფერდობებზე ზედაპირული წყლის მიერ განვითარებული ეროზიის შედეგად, სხვა და სხვა სახის სავარგულები, თანდათანობით განიცდიან დეგრადაციას და კარგავენ სასოფლო სამეურნეო დანიშნულებას. ფერდობებზე ნიადაგის წყლისმიერი ეროზია ვლინდება ჩამორეცხვის და წარეცხვის სახით. მათი ინტენსივობა დამოკიდებულია ნალექის რაოდენობასა და წვიმის ინტენსიურობაზე, ნაკვეთის დახრილობაზე, ნიადაგის თვისებაზე, მცენარული საფარის არსებობაზე, ადამიანის საქმიანობაზე.

თესლბრუნვის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ნიადაგის ნაყოფიერების დაცვა და ამაღლება, მოსავლის გაზრდა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, მინდვრის დასარევლიანების, მცენარეების მავნებლებითა და დაავადებებით დაზიანების შემცირება, ნიადაგის ეროზიის უარყოფითი გავლენის თავიდან აცილება.

წყლის ეროზიისადმი ნიადაგის დაცვის უნარის მიხედვით, მინდვრის კულტურებს სამ ჯგუფად ყოფენ:

1. ძლიერ დამცავი მრავალწლიანი ბალახები; 2. საშუალოდ მდგრადი თავთავიანები; 3. სუსტად დამცავი სათოხნი კულტურები.

5-10 გრადუსის დაქანების მქონე ფერდობებზე მიზანშეწონილია ბექობებით დატერასება. ჰორიზონტალური მიმართულებით გაკეთებული ბექობებით ფართობი 20-50 მ. სიგანის ტერასებად იყოფა. მსუბუქი მექანიკური შემადგენლობის მიწისა და მცირე ქანობის პირობებში ტერასის განი მეტია, ხოლო მძიმე მექანიკური შემადგენლობის ნაკვეთებზე ნაკლები. სადაც შეიძლება განთავსდეს მრავალწლიანი ბალახები, ბუჩქები და ხე მცენარეები (ვაზი, ჟოლო, მოცხარი, თხილი და ა,შ.). ზოლების სიგანე და მანძილი დამოკიდებულია ნაკვეთის დახრილობაზე.

ირიგაციულ ეროზიას იწვევს ადამიანი თავისი სამეურნეო საქმიანობით. მისი თავიდან აცილება შეიძლება სრულყოფილი და მაღალი საიმედოების მქონე სარწყავი სისტემების მოწყობით, ასევე ტექნოლოგიების დახვეწით (წვეთოვანი მორწყვა, დაწვიმების სისტემის დანერგვა, მორწყვის სათანადო სისტემის დანერგვა, მორწყვის სათანადო რეჟიმის დაცვა და ა. შ.) აღნიშნული ღონისძიებები უნდა განხორციელდეს ნიადაგის თავისებურებების, აგრო კულტურების თავისებურებებით და კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

### ნიადაგების განოყიერება

ეროზიულ ნიადაგებს დაბალი პროდუქტიულობა ახასიათებს და ორგანული და მინერალური სასუქების შედარებით გაზრდილი დოზით გამოყენებას საჭიროებს.

განოყიერების სისტემაში გადამწყვეტი როლი ორგანულ სასუქებს ეკუთვნის, მაგრამ მარტო ისინი ვერ უზრუნველყოფენ საჭირო რაოდენობის მოსავლის მიღებას. ამ ნიადაგებზე ორგანულ-მინერალურ სასუქების ერთობლივი გამოყენება მეტად ეფექტიანი ღონისძიებაა. მინერალური სასუქებიდან ყველაზე მცირე რაოდენობითაა აზოტი, შემდეგ კი ფოსფორი. ნიადაგის ჩამორეცხვის ხარისხის მიხედვით.

**ოლღა ბერიძე ველიჯანაშვილი,**
***ასპინძის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის წამყვანი სპეციალისტი***

**ასპინძის ომის 250 წლისთავისათვის**

# ასპინძის ომი



ყველამ იცის, რომ ახალციხის მხარე დღეს ქართველის სიხლით ირწყვის. ეს მოვლენა ახალი არაა ქართული ისტორიისათვის. რაც თურქებმა ფეხი შემოსდგეს წინა აზიაში, მას შემდეგ ეს მხარე ჩვენ და მათ შორის საბრძოლველ არენათაა გადაქცეული. აქ ხშირათ მომხდარა ქართველთა და ოსმალთ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ყველაზე დაუვიწყარი ამათთგან ასპინძის ომი იყო. მისი მოკლე ისტორია ასეთია:

1765 წელს მეფე ერეკლეს, ოსმალეთის იმპერიამ ომი აუტეხა. უკანასკნელმა ფხიზელი თვალით შეხედა საქმეს და დაუწყო მოპირდაპირეს დალოდება, ლაპარაკი და პირობებათ-დება. თათბირმა კარგა ხანს გასტანა. ამ ხნის განმავლობაში მეფე ერეკლე მიეცა სამზადისს. სხვათა შორის მან რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინესაც მიმართა მაშინვე დახმარების სათხოვნელად. ეკატერინესაგან მალე მოუვიდა პასუხი და იმედები, უსათუოდ დაგეხმარები ჯარითო, რომელსაც გამოვგზავნი გენერალ ტოტლებენის წინამძღოლობითო.

მეფე ერეკლე დიდად გაახარა ამ ამბავმა, მას იმედი მიეცა, რომ დასძრავდა ასპინძიდამ ოსმალთ და ამასთანავე მთელს მესხეთ-ჯავახეთსაც შემოუერთებდა საქართველოს. მეფე ერეკლეს მისი იმედიც აღეძრა, რომ მთელს საქართველოს თუ არა, ნახევარს მაინც წაართმევდა ოსმალეთს.

ერეკლე გულმოდგინედ შეუდგა ომისათვის სამზადისს; მან გამოაცხადა საქართველოში ქუდზედ კაცის მობილიზაცია, მოიწვია ომისათვის სამღვდელოება და ბერებიც კი. შემდეგ თვითაც გამოუცდა ომი ოსმალებსა.

მცირე ხნის შემდეგ საქართველოს მოადგა ოსმალეთის დაგეშილი მხედრობა: – ევროპიელთა დახმარებით გაწვრთნილი და მათისავე იარაღით აღჭურვილი.

რუსეთიდან მართლაც ჩამოვიდა გენერალი ტოტლებენი ჯარით; ამ გარემოებამ მეფე ერეკლე დიდათ გაამხნევა და ქართველი ერიც მხნეთ მიეგება ომს. თფილისიდან მალე გაუდგა ქართველი მხედრობა ახალციხის გზას, იგი სოფ. ასპინძას უნდა შეჰყროდა მტერს. თქმულება არის, რომ ამ ომში ქართველი დედაკაცებიც იღებდნენ მონაწილეობას. ამათთაგან იხსენიებიან წყნეთელი მაია, წავკისელი თინა და ვაშლოვნელი თამრო.

ამავე დროს, რუსის გენერალმაც მოაწყო საქმე; მეფე ერეკლესთან ერთათ, მისი ჯარიც გაემგზავრა ასპინძისაკენ; მალე ბრძოლაც დაიწყო. ჯარის კაცებმა ამ ომში დიდი გმირობა გამოიჩინეს. ომის დაწყების წინა დღეს მეფე ერეკლემ თავის მხედრობას შემდეგის სიტყვით მიმართა:

ძმანო და შვილებო! ქართველებო! დღეს უნდა გამოჩნდეს ჩვენი გმირობა, ვაჟკაცობა და სამხედრო ძალა. დღეს უნდა გადაწყდეს, ვინ იქნება საქართველოში: ქართველი ერი, თუ ოსმალეთის უხეში ძალა. ჩვენი განაჩენი აქ უნდა დაიწეროს, ასპინძასთან. ჯარმა ერთხმად შებღავლა მეფეს: ჩვენ დავედებით საქართველოს მსხვერპლათ და მტერს კი არ გავახარებთ.

ამის შემდეგ მოხდა ჯარისა და დიდებულთა ფიცი, ანუ აღთქმის დადება ერთგულებაზე და ჯარის წინ მედგრათ ბრძოლაზედ. მეოთხე დღეს ომიც დაიწყო. ქართველები ისე შეებნენ ომს, რომ პირველს დღეს, როცა რუსის ჯარიც უნდა ჩარეულიყო საქმეში, გენერალი ტოტლებენი უკან დადგა თავის ჯარით. გაოცებულმა ერეკლემ მიმართა გენერალს და დაუწყო ხვეწნა და მუდარება, რომ მონაწილეობა მიეღო ბრძოლაში, მაგრამ გენერალი უარზე იდგა.




ბოლოს ბევრი ხვეწნის შემდეგ, ტოტლებენმა ასეთი პასუხი მისცა მას: ჩვენმა ხელმწიფემ ეკატერინემ ოსმალეთთან პირობა დადვა, რომ ჩვენ ოსმალეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობას არ მივიღებთ, ამიტომ მე თქვენი შველა აღარ შემიძლიან. მეფე ერეკლემ დაიჩოქა და დაუწყო ხვეწნა გენერალს: ნუ გვიზავთ ამას, ოსმალნი ჩვენ უკვე დავამარცხეთ და ეხლა თქვენ რომ ერთ დღეს დაგვეხმაროთ, სულ მოვსპობთ მათაო.

ტოტლებენმა ჯიბეში ჩაიყო ხელი, ამოიღო ქაღალდი და დაუდო მეფე ერეკლეს და უთხრა: – მე გიშველით თქვენ, თუმცა ეს ჩვენი მეფის წინააღმდეგი იქნება, ხოლო ამის სანაცვლოთ აი რასა გთხოვთ: აი ეს ქაღალდი და აქ დაწერეთ, რომ თქვენ ამიერიდან საქართველოს რუსეთს უერთებთო.

მეფემ აცნობა ჯარს, რა პირობით აღუთქვამდა მას შველას რუსის გენერალი. გაბრაზებულმა ჯარმა მოსთხოვა მეფეს იქ გაესტუმრებია ტოტლებენი, საიდანაც მოსულიყო. ოსმალებს ჩვენ თვითონ გავსცემთ პასუხს.

გენერალი ტოტლებენი თავის ჯარით ასპინძიდან ახალციხისაკენ გაემართა და მერე ბაღდადის გზით იმერეთში ჩავიდა.

ქართველმა ურუსებოთაც გაიმარჯვეს. მათ გაამაგრეს ასპინძა და შემდეგ მის იქითაც გააცილეს ოსმალოები.

ზაქარია ჭიჭინაძე,
ჟურნ. „რესპუბლიკის ჯარი“,
1919 წ. N14

---

# ერთად ვიზრუნოთ უკეთესი მომავლისათვის

აი, ჩვენო ერთგულო მკითხველო, ორთვიანი შესვენების შემდეგ კვლავ ვხვდებით ერთამანეთს. ახალი 2020 წელი ძალაში შევიდა და ჩვენც ახალი შემართება გვმართებს, რომ მეტი ინფორმაცია, წერილი, მოსაზრება, მოგაწოდოთ მუნიციპალიტეტის ცხოვრებაზე, მის სიახლეებზე, გამოწვევებზე. ცხადია, მოსახლეობა ყოველთვის კრიტიკულია ნებისმიერ მიმართებაში, რადგან ტექნიკური პროგრესი, ცხოვრების დონის ამაღლება, ეს ყოველდღიური მოვლენაა და არც არის გასაკვირი. ერთ ადგილზე არავინ ჩერდება, ყოველ ახალ გაკეთებულს სხვა სამომავლო საქმე ემატება და ასე შენდება სოფელი, დაბა, ქალაქი...

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ თვიდან თვემდე შესამჩნევად იცვლება მუნიციპალიტეტში მცხოვრებთა ცხოვრების დონე. ვინც შრომობს, არც ბედს ემდურის, მაგრამ, სამწუხაროდ, კვლავ დიდია დასაქმების პრობლემა, მოსახლეობის ერთი ნაწილი კვლავ ეძებს გადარჩენის საშუალებას დედაქალაქსა თუ უცხო ქვეყნებში, კვლავ პრობლემად რჩება დემოგრაფიული მდგომარეობა და აქტიური მიგრაცია. გულს კი ყოველთვის იმით ვიმაგრებთ რომ, გამოთქმისა არ იყოს, – რომიც არ აშენებულა ერთ დღეში, თუმცა შესაძლებლობების მაქსიმუმს მაინც ვერ ვიყენებთ, რათა ჩვენი ცხოვრება ისე მოვაწესრიგოთ, რომ აქედან არა თუ გარბოდნენ, არამედ მეტი შანსი ჰქონდეთ მათ უკან დაბრუნებისა. ამიტომ, ზრუნვა ყოველივე ამაზე, მარტო თვითმმართველი ორგანოების საქმე არაა, ყველამ ჩვენი წილი გამოსაღები საქმე უნდა ვაკეთოთ და მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი ერთმანეთს ამ პრობლემების დაძლევაში.

მხოლოდ შრომა გადაგვარჩენს, თუმცა ბევრმა მიწაც დაივიწყა, მეურნეობასაც აუშვა ხელი და ღვთის იმედად დარჩნენ. დაბასა თუ სოფლებში მცხოვრებ ადამიანებს, ალბათ, მეტი მონდომება რომ გვქონდეს, ცხოვრების დონეც უკეთესი გვექნებოდა. აბა, ერთი წუთით თვალი გადავავლოთ ჩვენს პოტენციურ შესაძლებლობებს. რამდენი მოუვლელი მიწა გვაქვს, რამდენი ბაღჩა-ბაღი გავერანდა მოუვლელობით, რამდენი სახლი გამოიკეტა და უპატრონობით ხავსი ეკიდება, მაშინ, როდესაც კოლოსალურად იზრდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასები, ჩვენ კი... ისევ სხვაგან ვეძებთ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

გამოვხატავთ რა ჩვენ თქვენდამი კეთილ განწყობას, მოდით, ერთმანეთს ამ გაზეთის საშუალებით, სისტემატურად შევთავაზოთ წერილები, საკუთარი მოსაზრებები გამოსავლის ძიების მიზნით, როგორ და რანაირად იქნება შესაძლებელი, რომ მაქსიმალურად დავძლიოთ ნაკლოვანებები და უკეთესი ცხოვრების პირობები შევქმნათ.

*რედკოლეგია*

---

**ღია წერილი**

## „სილქნეტის“ ტექნიკური დაგეგმარების დეპარტამენტის უფროსს რევაზ ღვინიაშვილს, შპს „ნეტკომის“ დირექტორს კარენ დარბინიანს

დიდხანს ვიფიქრე, ამგვარად მოგვეწერა თქვენთვის ღია წერილი თუ სხვანაირი ფორმა მოგვეძებნა, რადგან, როდესაც მაღალჩინოსანს ესა თუ ის საქმე აკისრია, უყოყმანოდ უნდა ასრულებდეს მოვალეობას, წერილების მიწერ-მოწერა კი არ უნდა იყოს საჭირო.

კეთილი საქმის მიმართ არასოდეს არ უნდა ვიყოთ უმადურები, რაც კეთდება, უნდა დავინახოთ და ჩვენ თავადაც შევუწყოთ ხელი შემსრულებლებს, რომ მომავალშიც ბევრი გაკეთდეს. სამოქალაქო ვალდებულება კი გვაკისრებს, აქტიურები ვიყოთ, – გავუფრთხილდეთ, მოვუაროთ და ჩვენი წილი პასუხისმგებლობა ავიღოთ, რამეთუ, პატარ-პატარა საქმიდან იწყება დიდი საქმე და ქვეყანაც ძლიერდება, ლამაზდება და ცხოვრება უკეთესი ხდება.

კარგად გვახსოვს, არც თუ ისე დიდი ხნის წინ, თუ როგორ გაპარტახდა ჩვენი ქვეყანა, როგორ გაუსაძლისი გახდა ცხოვრობდა. ახლა, ნელ-ნელა, ყველაფერი კალაპოტში დგება და თითოეულის ვალია, ვიზრუნოთ ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის. თუ სახელმწიფოს ვერაფერში წავადგებით, ჩვენზე მინდობილი საქმე მაინც გავაკეთოთ.



გასულ წელს მუნიციპალიტეტის მერიამ, დაბაში, ე.წ. კომუნალურ ბინებში, მოაწესრიგა სადარბაზოები, ჩასვა კარ-ფანჯრები, დაათბუნა, ევრორემონტი ჩაუტარა. თვალსა და გულს უხარია, ეგრერიგად მოწესრიგებული სადარბაზოების იერსახისა, სხვა სამუშაოებთან ერთად სათანადოდ გაკეთდა ელექტრო გაყვანილობაც, მაგრამ, რა უნდა ვთქვათ იმ ფაქტზე, როდესაც მოუწესრიგებელია სადარბაზოებში თქვენს საკუთრებაში არსებული კაბელები, სამწუხაროდ, თითითითზე არ დაგიკარებიათ მათი მოწესრიგებისათვის. აი, დააკვირდით ამ სურათს, რა დღეშია დღეს იგი. ნებისმიერ დროს ხომ შეიძლება კიდევ უფრო დაზიანდეს და კაპიკის საქმე უფრო ძვირი დაგიჯდეთ. აქ წარმოდგენილი მთელი კასკადი სადარბაზოებს ამახინჯებს.

რომ ვთქვათ, ფინანსური პრობლემების გამო ვერ აკეთებთ, არ ვიქნებით მართლები და ამიტომ, კიდევ ერთხელ გთხოვთ, ბატონო რევაზ და ბატონო კარენ, ყურად იღოთ მოსახლეობის თხოვნა და სრულ წესრიგში მოიყვანოთ თქვენი საკუთრება.

პატივისცემით,
მობინადრეთა სახელით,

ავთანდილ ბერიძე

---

# დაიწყო სარემონტო სამუშაოები

2020 წელი ძალაში შევიდა და აი მარტის დასაწყისიდანვე მუნიციპალიტეტის მერიის ძალისხმევით, ინტენსიურად განახლდა მიმდინარე წლის პროგრამებით გათვალისწინებული სამუშაოები, კერძოდ, ახლახან დაიწყო და უახლოეს ხანში დასრულდება ერეკლე II-ის ქუჩის დასაწყისში განთავსებული შპს ,,ასპინძის კეთილმოწყობის'' ოფისის შიდა სარემონტო სამუშაოები.

აღნიშნულ სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში (SPA 200000184) გამრჯვებული კომპანია შპს ,,ნუკია'' ასრულებს, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 22 999 ლარს. სამუშაოები გეგმა-გრაფიკით მიმდინარეობს და განსაზღვრულ ვადებში დასრულდება.





სპორტული ცხოვრება

# ნაქალაქეველ მოსწავლეთა დიდი წარმატება



ახლახან, 15 თებერვალს, ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზში, ,,საქართველოს სასკოლო ოლიმპიადა – 2020''-ის ფარგლებში, გაიმართა ტურნირი გოგონებსა და ვაჟებს შორის ხელბურთში, სადაც რეგიონულ შეჯიბრებას, გულშემატკივრებთან ერთად, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე, მერის მოადგილე ლევან ბერიძე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტული ეროვნული ფედერაციის კოორდინატორი სამცხე-ჯავახეთის მხარეში უჩა კახნიაშვილი ესწრებოდნენ. აღნიშნული ტურნირის ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის (მასწავლებელი თემურ ბერიძე) და ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბენარის საჯარო სკოლების გუნდები.

რეგიონული ჩემპიონატი ხელბურთში, რომელიც პირველად ჩატარდა ასპინძის მუნიციპალიტეტში, საზეიმო ვითარებაში გახსნა მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ. სიტყვაში გამოვიდა სკოლის დირექტორი გიორგი კაველიძე. შემდეგ ასპინძის კულტურის ცენტრის მომღერალთა ჯგუფმა და ნაქალაქევის სკოლის გოგონათა გუნდმა რამდენიმე მუსიკალური ნომერი შეასრულეს.

თამაში თავიდანვე მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით – 24:4-ზე დამთავრდა. გოგონათა შორის – ასევე მასპინძელთა სასარგებლოდ – 12:3-ზე. ტურნირში მონაწილე გუნდები თასებით, სიგელებით და მედლებით დაჯილდოვდნენ.

ზონალურ პირველობაზე გამარჯვებული გუნდები მომავალში ქალაქ თბილისში მიიღებენ მონაწილეობას. აღნიშნულ ტურნირს ორგანიზება გაუწია ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურმა.

# სპორტული ფორმები – ნორჩ სპორტსმენებს



მიმდინარე წლის 15 თებერვალს, ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლაში ,,საქართველოს სასკოლო ოლიმპიადა - 2020"-ის სტარტის აიღებასთან დაკავშირებით ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, მერის მოადგილემ ლევან ბერიძემ მონაწილე გუნდების მწვრთნელებს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შეძენილი ბავშვთა და სასკოლო სპორტული ეროვნული ფედერაციის სტანდარტებით და დიზაინით დამზადებული 90 ცალი სპორტული ფორმა გადასცეს. აღნიშნულ ოლიმპიადაში მონაწილეობას ასპინძის, ტოლოშის, ივერიის, რუსთავის, ნაქალაქევის და ხერთვისის საჯარო სკოლის გუნდები ღებულობდნენ.

# საქართველოს ასპინძელი ჩემპიონი ძიუდოში



უკანასკნელ ხანს, ბევრი, ფრიად სასიამოვნო მოვლენის მოწმენი გავხდით მუნიციპალიტეტის სპორტულ ცხოვრებაში. ძალზე სასიამოვნო ფაქტია, რომ სპორტის მრავალ სახეობაში წარმატებებს წარმატებებზე ალ[illegible]ენ ადგილობრივი სპორტსმენები. 5 თებერვალი კი განსაკუთრებით ღირსსახსოვარია სპორტის თითოეული ასპინძელი გულშემატკივრისათვის, რაც იმის შედეგია, რომ ადგილებზე სპორტის მესვეურები ძალასა და ენერგიას არ ზოგავენ სპორტის განვითარების დიდ საშვილიშვილო საქმეში. იმ დღესაც, ქ. თბილისში, საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ორგანიზებით, მოსწავლე-ახალგაზრდებს შორის, გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ძიუდოში. აღნიშნულ ჩემპიონატში გოგონათა შორის 48 კილოგრამ წონით კატეგორიაში I ადგილი ა(ა)იპ ასპინძის სასპორტო გაერთიანების სპორტსმენმა **მარიამ ფოცხვერაშვილმა** მოიპოვა, ხოლო მესამე ადგილი – 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში – **ანი ბერიძემ**. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია სულითა და გულით ულოცავს ახალგაზრდა სპორტსმენებს ამ დიდ გამარჯვებას და უსურვებს მომავალ წარმატებებს დიდ სპორტულ სარბიელზე.

**ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა**

## ვარსკვლავები

ზეცას მოვტაცე ვარსკვლავი
და როგორ მივწვდი, ეს მიკვირს,
მთვარე მეხვეწა, დამითმე,
ჩემთვის ძვირია და მიღირს.

ამით თუ სული გამითბე,
მზე ხვალ გაჩუქებს სხვა ღიმილს,
მე რომ უკუნეთს აგინთებ,
ეს სიახლოვე რად გიღირს.

ცაში ვარსკვლავი მოვწყვიტე,
მისთვის ვდარდობდი ყოველ ღამ,
ამით ცას გული დავწყვიტე,
იქნებ, შემინდოს ყოველმან.

გაუხარია ამ ჩემს გულს, –
ჩემია ყველა ვარსკვლავი?..
რა მიხარია, ნეტავი,
ასე რომ ვშალე მხარ-მკლავი?..

როგორც კი ჩემად ვიგულე,
ყველა მნათობი ჩამიქრა,
დაღონებული ავტირდი,
ბოლო იმედიც გამიქრა.

ის ჩემი სულის მნათობი,
ვისაც ვეძებდი ცაშია,
დიდი ხანია ჩამიქრა,
დიდხანს მელოდა გზაშია.

უკან დაბრუნდით, ვარსკვლავნო?
რისთვის მარიდეთ თვალია,
ტრფობა მოსტაცეთ მთვარესა,
ვინაც რომ გულით გწადიათ.

ეს გზა სავალი, ნეტავი,
რად გამიხადეთ შორია,
მე აქ მინდიხართ, თორემ იქ,
ვინა გყავთ თანასწორია.

ბოლოს ხომ მაინც ჩემი ხართ,
უთქვენოდ ცა რა ცივია,
მთაც რომ გადავლო ათასი,
ისიც კი ჩემთვის მცირეა.

*დავით თაქთაქიძე,*
*დაბა ასპინძა*

## „ლექსო, არ დაიკარგები!"

### „უფალო, შეგვიწყალეენ!"

(მგლის თავზე სახარების კითხვა ცუდი შრომააო)

უნარი მოგვეც, უფალო,
ავის და კარგის ცნობისა,
შეგვაძლებინე გარჩევა
ჩვენის მადლის და ცოდვისა.

კარგზე ცუდს ვამბობთ, ცუდზე კარგს,
ჭირი გვჭირს ძმათა მტრობისა,
დავკარგეთ ნდობა ძმებს შორის
და სახე ქართველობისა.

თავს ვიკლავთ პირველობისთვის,
ვთესავთ და ვიმკით მტრობასა,
გადავაყოლეთ დრო-ჟამი,
ერთურთზე ავის თხრობასა.

გვიჯობს, არ ვფარცხოთ უკულმა
მოყვასის წალმა ხნულია,
„თორემ მოვიდა ყივჩაღი",
გვაფრთხილებს სიტყვა ბრძნულია.

გვახსოვდეს სიბრძნე ქართული,
წინაპართაგან თქმულია:
„რომ სიყვარულით ვაშენოთ,
რაც მტრობით დანგრეულია".

ავტორ-მთქმელი ზაურ ჯვარიძე,
74 წლის, ასპინძის მუნიციპალიტეტი,
სოფელი ჭობარეთი

## რედკოლეგია